

გაგა ლომიძე  
(საქართველო)

### სტალინი: დემიურგის მიწიერი განსხეულება\*

სტალინის სახეს ქართულ ფოლკლორში რამდენიმე ტენდენცია უკავშირდება. ფოლკლორშიც, მხატვრული ლიტერატურის მსგავსად, გამოხატულია ოფიციალური ძალაუფლების ინტერესები\*\* და ბელადი ასახულია ისე, როგორც ამას გაბატონებული კულტურა მოითხოვდა. სტალინისადმი მიძღვნილ ფოლკლორულ ლექსებში, შინაარსის თვალსაზრისით, შეგვიძლია გამოვყოთ, ძირითადად, სამი პლასტი: სოციალური, მითოსური და რესენტიმენტთან დაკავშირებული. სამივე პლასტი ერთმანეთთან მჭიდროდ, ჯაჭვისებურადაა გადაბმული.

სოციალური შინაარსის ლექსებში სტალინის როლი დაკავშირებულია „მესამე დასის“ იდეური პლატფორმის ცხოვრებაში განხორციელებასთან – მუშების და გლეხების პოზიციების წინ წამოწევისა და მათი ინტერესების გათვალისწინებასთან („მოსპო ბრწყინვალე წოდება, მოუსვა რკინის ცელია“\*\* .../მშრომელთა ხელში გადავიდა/წყალი, მინდვრები, გორები..“ („ჩვენნი ქვეყანა განითლდა“)). ცხადია, ოფიციალური მხატვრული ლიტერატურის მსგავსად, აქაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროპაგანდა. ფოლკლორულ ლექსებში ის, ძირითადად, მოხსენიებულია შემდეგი ეპითეტებით: აწივი („თვალი შორს უჭრის არწივსა“), რკინა („რკინა ხარ, დიდო ბელადო/რკინა ფოლადად დებული“), ფოლადი („ფოლადის გმირი ქებული“). საგულისხმოა, რომ რკინა, ფოლადი, როგორც უფრო იაფფასიანი ლითონი ოქროს საპირისპიროა და ამ გაგებითაც, მნიშვნელობების გადაადგილება აქ წარმმართველია. აქაც უკუნიშნით ხორციელდება ალქიმიური პროცესი და საერთოდ, ადგილებს ცვლიან მნიშვნელობები დემიურგის ამ მიწიერი განსხეულების მიერ წარმოებულ დესემიოტიზაციის პროცესში. აქედან უკვე ბუნებრივად მომდინარეობს სტალი-

\* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის: „სტალინის სახის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში“ – ხელშეკრულება № DI-2016-47-ის ფარგლებში.

\*\* ყველაფრის მიუხედავად, მაინც არის ცდუნება, რომ სტალინის სიცოცხლეში, ოფიციალურად გამოქვეყნებულ ფოლკლორულ ლექსებშიც ვიპოვოთ ორმაგი კოდირების პრინციპით შესრულებული ლექსები და, ვთქვათ, „გურული სიმღერა“, თავისი ტონალობის გათვალისწინებით, პაროდიად მივიჩნიოთ: „ლაითურში ჩაი დავრგეთ/და ურეკში მანდარინა./ვენაცვალე სტალინის ხელს./კოლექტივში მოგვცა ბინა“. მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ „კარიკატურა, პაროდია, კოსტიუმირებული წარმოდგენა და მისი საპირისპირო რამ – მხილება, – ყველა ეს მიმართულია იმ პირების და საგნების წინააღმდეგ, რომელთაც ავტორიტეტზე აქვთ პრეტენზია და რაიმე ნიშნით გამოირჩევიან.“ (ფროიდი 1990: 77). თუმცა გასათვალისწინებელია იმდროინდელი ცენზურა, რომელიც, პრაქტიკულად, გამოორიცხავდა ისეთ ტექსტებს, რომლებიც ორმაგ ნაკითხვას დაექვემდებარებოდა.

\*\*\* „რკინის ცელი“ სიკვდილს მოგვაგონებს. მაგრამ აქაც გამართლებულია სიკვდილის სიმბოლო, რამდენადაც დემიურგის დამანგრეველ-შემოქმედ ბუნებას სავსებით შეესაბამება ეს სახე.

ნის, როგორც დემიურგის სახე და კონტექსტი: „სტალინისტურმა კულტურამ მხატვრული ორგანიზაციის სფეროდ პირველადი და უშუალო გამოაცხადა, რა- შიც პარტიის მანიპულაციის გამოცდილებას ეფუძნებოდა, რომლის თანახმა- დაც, ის თავიდანვე სოციალურ დონეზე კონცენტრირდებოდა. იმავდროულად, ავტონომიურ შემოქმედებით საქმიანობაში ის დემიურგის (ახალი სინამდვი- ლის შემქმნელის) სახის თემატიზებით იყო დაკავებული, რისი განხორციელე- ბაც თავისი შესაძლებლობებით ავანგარდმა ვერ მოახერხა“ (გროისი 2011: 73) ერთ-ერთი ფოლკლორული ლექსის სტრიქონებიც ამაზე მიგვანიშნებს: „ჩვენი ქვეყანა განითლდა,/ სულ სხვა გვაქვს მთა და ველია..“ „სულ სხვა მთა და ვე- ლის“ შემოქმედი – დემიურგია. ამიტომაც სტალინისადმი მიძღვნილ ფოლკ- ლორულ ლექსებში ჩნდება ეპითეტები: მზე („სტალინ, მზედ გაგვიბრწყინდე- ბა“), სახემზიანი (სტალინო, სახემზიანო), (უფრო იშვიათად – მთვარე), მამა („ეს გაუმარჯოს პირველად/ჩვენს ბელადს მამა სტალინსა“ („სტალინს“)). ერთ ფოლკლორულ ლექსში „შენმა მარჯვენამ იცოცხლოს“ ასეთი სტრიქონებია: „შენი სიტყვები, ბელადო,/ჩამოდი ოქროს მილითა“. საგულისხმოა აქ მთქმე- ლის და ობიექტის პოზიციონირება: მთქმელი – ქვემოთაა ხოტბის ობიექ- ტთან მიმართებაში, რაზეც ზმნა „ჩამოდის“ მოგვანიშნებს. ამდენად, „ოქროს მილით“\* მოუბარი ბელადი ერთგვარ ახალ მოსედ თუ აპოკალიფსის ანგე- ლოზად წარმოგვიდგება, რომელიც ადამიანებს ახალ ჭეშმარიტებას ან ძველი სამყაროს ნგრევას ამცნობს. სოციალური და მითოსური პლანები სრულიად ეთანხმება მესამე, რესენტიმენტთან დაკავშირებულ პლასტს. კოლონიური ცნობიერების ნაკვალევი იგრძნობა ფოლკლორულ ლექსებში („სტალინ, შენ ხარ მტერზე ტყვია,/ჩვენ შენს ირგვლივ დარაზმული“ („სიმღერა ბელადზე“); „უძღვევლია სტალინი,/მტერი ველარას ჰბედავსო“ („სიმღერა სტალინზე“); „ფოლადო, მტერზე ნაცადო“ („შენმა მარჯვენამ იცოცხლოს“); „შენ აგვიშენე სამშობლოს/ციხე-კოშკები სვიანი,/თან გალავანიც მავლე/მაგარი, ფოლადი- ანი../მტერს შიშის ზარი დაეცას,/დაიწყოს კვილ-ღრიალი..“ („დიდ სტალინს“); „გამაგრდა ქვეყნის საზღვრები,/მაგრა ჩასჭიდე ხელია./მტერ მიჯნას ველარ გადმოვა,/დაედო მკვდრისა ფერია“ („უნდა ვიამბო ახლები“)) და გამოხატულია ერთი მხრივ საზღვრის, საკუთარი ტერიტორიის და მტრის ოპოზიციაში და, მეორე მხრივ – მნიშვნელობების შენაცვლებაში, სადაც სუსტი ძლიერი ხდება და პირიქით. პარადიგმის ცვლილება, სადაც მნიშვნელობები ადგილებს ანაცვ- ლებენ, ცხადია, სტალინის ფიგურას უკავშირდება. ამავე დროს, ეს არის თავ- დაცვის მექანიზმის მუშაობის შედეგი – კოლონიური ცნობიერების შედეგად გამომუშავებული პრინციპების ჩანაცვლება უპირატესობის შეგრძნებით, რაც სტალინის ქართულ წარმომავლობას და აქედან გამომდინარე, მისი, როგორც მხსნელის სახეს უკავშირდება. ამდენად, სტალინი ქართველი ერის ყველაზე მნიშვნელოვან მაიდენტიფიცირებელ მარკერთან, შოთა რუსთაველთან ერ-

\* ამავე დროს, მილი აპოკალიფსურ სიმბოლიკას უკავშირდება, რასაც შუასაუკუნეების ფრესკებში ვხვდებით. ამ თვალსაზრისითაც, ეს სახე არ ეწინააღმდეგება დემიურგის კონცეფციას, რომელმაც ძველი სამყარო უნდა გაანადგუროს და ახალი ისე ააშენოს.

თად, ერთ სიბრტყეში განიხილება: „განა ტყუილად მიმღერა შოთამ,/„ვეფხისტყაოსნის“ მითხრა ბნკარები, –/დიახ, ამ მკერდმა სტალინი შობა,/ვინც განთიადის გახსნა კარები“ („კავკასიონი“). ფოლკლორულ ლექსებში ხშირად შემოდის აშკარად ფალიკური სიმბოლო – რკინის/ფოლადის ხმალი, როგორც კოლონიური ცნობიერებისთვის შურისძიების სიმბოლო: „მტკიცე ხარ, მტკიცე, ბელადო,/სახანჯლე ფოლადივითა!/ რასაცა დაჰკრავ, გადასჭრი,/უდრეკო ლენინივითა“ („სიმღერა ბელადზე“); „სიმართლის ხმალი უჭირავს,/სიმტყუნეს თავსა ჰკვეთავსო“ („სიმღერა სტალინზე“); „დიახ, ამ მკერდმა სტალინი შობა,/ვინც განთიადის გახსნა კარები./ამინევიცა ცა ჩემის მხრებით,/ლამის ზვინები გამიხევიცა“ („კავკასიონი“)\*; „ზღვას იქით გადახიზნული,/ზღვას აქეთ გადმოიყვანე./რკინა ხარ, დიდო ბელადო/რკინა ფოლადად დებული;/ვერ შეგაშინებს ვერავინ,/ხმალი გაქვს ამოღებული“ („დიდ სტალინს“).

ფოლკლორი, ისევე როგორც მხატვრული ლიტერატურა\*\*, გამოხატავდა ოფიციალურ ინტერესს და ასახავდა ბელადს ისე, როგორც ოფიციალურ პოზიციას სურდა. ერთ-ერთ, ორთოდოქსიისგან თავისუფალ და ცენზურისგარეშე სივრცედ რჩებოდა ანეგდოტები და ხუმრობები, რისი შეთხზვის თუ თხრობის გამოც, არაიშვიათად ადამიანებს სიკვდილით სჯიდნენ ან აპატიმრებდნენ.

არსებობს მენშევიკი კაკი წერეთლის ხუმრობა სტალინის შესახებ, რომლის მიხედვითაც, სტალინი, თავისი ქართული აქცენტით გათვალისწინებით, ასე აყალიბებდა მარქსიზმის ერთ-ერთ ფუნდამენტურ დებულებას: „Битие определяет сознание“ („ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“), სადაც „Бытие“ (ყოფიერება) ჩანაცვლებულია „Битие“-თი („ცემა“). წერეთლის ეს ხუმრობა იუმორით ნათელს ფენს მარქსის ფილოსოფიის ანტი-ინეტერპრეტაციას და სტალინის მმართველობის ძალადობრივ მეთოდს. ამერიკე-

\* საგულისხმოა, რომ კავკასიასთან და კერძოდ, საქართველოსთან სტალინის გაიგივებას არაერთი ფაქტი აქარწყლებს იმ თვალსაზრისით, რომ სტალინი საკუთარ თავს ქართველთან არ აიგივებდა. იური ბორევი თავის წიგნში იგონებს, რომ საქართველოს ისტორიის შესახებ ფუნდამენტური ნაშრომების ავტორები, სტალინური პრემიის ლაურეატები, სტალინმა მიიწვია და რუსულად ელაპარაკებოდა. ამბობდა, „თქვენ, ქართველები..“; „ისინი. რუსები..“ ვინ ეგონა თავი 1940-იანების ბოლოს სტალინს: ქართველი? რუსი? თუ ღმერთი? (ბორევი 1991: 230)

\*\* თუმცა ოფიციალურ მხატვრულ ლიტერატურაშიც არსებობდა ოპოზიციური რიტორიკის არაერთი მაგალითი. კერძოდ, გალაკტიონ ტაბიძის ლექსი სტალინზე, რომელშიც „ბელადი“ ჯალათთან არის გაიგივებული და კითხვას, თუ ვინ არის ეს კაცი, ასეთი პასუხი მოსდევს: „სტალინია —სამშობლო სისხლისფრად რომ მოხატა, სტალინია, ქართველებს სული რომ ამოხადა“. ასევე, ირონიის აშკარა მაგალითებიც გვხვდება. „ირონია ძალიან ახლოა პარადოქსთან.. თუკი პარადოქსში ერთმანეთის გამომრიცხავი ცნებები ერთიანდება მათი შეუთავსებლობის მიუხედავად, ირონიაში – სიტყვებით გამოთქმულია ერთი და იგულისხმება – სხვა, მისი საპირისპირო. ამ გზით, ირონია გამოვლენს იმის ნაკლოვანებას, რაზეც ლაპარაკობს მოსაუბრე.“ (პროპი 2006: 84). აქ უნდა გავიხსენოთ ისევე გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „უცხოელი ბავშვი“: „შორს გაფენილო/მინდვრების ტილო,/და გიგანტურო/დრუბლების ჩრდილო!/ნისლეების მძიმე/მტევნები მთაზე/რა სიმდიდრეა,/რა სილამაზე./ნარინჯის ვრცელი/და ფორთოხალი,/თურინჯი, თუთა/და ფორთოხალი./მძივები ნაზი,/ცვარი კამაზე.../რა სიმდიდრეა!/რა სილამაზე!/ეს ოცნებაა,/ოცნება ლაღი./შენ რა, პატარავ?/სხვისია ბაღი./სხვისია მძიმე/მტევნები ვაზზე,/შვეება, სიმდიდრე/და სილამაზე.“ ამ სოცრეალისტური ესთეტიკით დაწერილ ლექსში, დასაწყისში წარმოდგენილი პოზიტიური სურათი სრულიად იცვლება ლექსის ბოლოს, როდესაც ირკვევა, რომ ეს, სავარაუდოდ, საბჭოთა სოციალისტური სიუხვე „სხვისია“.

ლი მკვლევარი დანიელ რანკურ-ლაფერიერი ამ ხუმრობას ფსიქოანალიტიკურ ჭრილში კითხულობს, სადაც „ცემის მეტაფორული ოიდიპოსური ასპექტი (მთვრალი მენალე მამა ცემდა სოსოს, ხოლო ზრდასრული სტალინი, რომელიც მამა გახდა, ცემდა თავის შვილებს) ქვეყანას მასობრივ რეპრესიებად და ქვეყანაში გულაგის ტერორად მოუბრუნდა („ყველა დროის და ხალხის მამამ“ თავისი თანამოქალაქეების გაჟლეტვის პოლიტიკა განახორციელა).“ (რანკურ-ლაფერიერი 1988: 59). თუკი გავიხსენებთ, რომ ფროიდისთვის ხუმრობა და იუმორი არაცნობიერის და ცნობიერის მიმართებას უკავშირდება და თავისი სტრუქტურით სიზმარს მოგვაგონებს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხუმრობა შესაძლებელი ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ზე-მე მე-ს საშუალებას აძლევს, რომ ის აზრები გამოხატოს, რაც საზოგადოების მხრიდან ჩახშობილი ან აკრძალულია. ამდენად, სიცილს განმწმენდი ფუნქცია აკისრია და ერთგვარი ნერვული მარეგულირებლის როლს ასრულებს: დაგროვილი უარყოფითი ფსიქიკური და ემოციური ენერგია, რომელიც შეკავებული ან ჩახშობილია, ხუმრობის წყალობით, გარეთ გამოდის, რაც განწმენდის/კათარზისის წინაპირობა ხდება. სწორედ სიცილის საშუალებით, კომედიაში განწმენდის შესახებ საუბრობდა არისტოტელე. ძველ წეს-ჩვეულებებში ითვლებოდა, რომ სიცილი მგლოვიარე მდგომარეობისგან ათავისუფლებს ადამიანს. ძველ წეს-ჩვეულებებში სიცილი აკრძალულია და სიცილი და სერიოზული მდგომარეობა ისე მიემართება ერთმანეთს, როგორც ცოცხალ, მატერიალურ სამყაროში მცხოვრები ადამიანები და მკვდრეთით, იმქვეყნიურ საუფლოში მყოფი არსებები. თუმცა, მთელ რიგ რიტუალებში (მათ შორის, ინიციაციისას) სიცილი ახლის დასაწყისის, სიცოცხლის განსახიერებაა და მას თან ახლავს რიტუალური სიცილი (პროპი 2006: 172). როგორც ვლადიმირ პროპი მიუთითებს, მიცვალებულთა საუფლოში მიმავალმა ადამიანმა უნდა დაფაროს, რომ ცოცხალია და ამ შემთხვევაში სიცილისგან თავი უნდა შეიკავოს, ვინაიდან სიცილი – ცოცხალი ადამიანის მთავარი ნიშანია. ქრისტიანობაში პოზიციები შენაცვლებულია\*: „ქრისტიანობაში სწორედ სიკვდილი, ეშმაკი, ქალთევზები იცინიან; ქრისტიანული ღვთაება არასდროს იცინის, „იესო არასდროს იცინოდა,“ – უთხრა ტურგენევიმა მხატვარ ა. ივანოვს“ (პროპი 2006: 185).

შემორჩენილია კიდევ ორი ანეგდოტი, რომელიც ფსიქოანალიტიკური ნაკითხვის საშუალებას იძლევა. „საპირველმასო დემონსტრაციაზე, ღრმად მოხუც ადამიანებს მოაქვთ პლაკატი, წარწერით: დიდი მადლობა ამხანაგ სტალინს ჩვენი ბედნიერი ბავშვობისთვის! მათთან მიიღებენ ვიღაც სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი კაცი:

– თქვენ რა, დაგვცინით? თქვენს ბავშვობაში სტალინი ჯერ დაბადებულს არ ყოფილა!

– ამიტომაც ვუხდით მადლობას!“ (ტელესინი 1986: 43). და კიდევ ერთი ანეგდოტი: „– ვინ არის მამაშენი? – ეკითხება მასწავლებელი ვოვას.

\* ამ მხრივ საგულისხმოა უმბერტო ეკოს რომანი „ვარდის სახელი“, სადაც თითქოს არისტოტელეს „პოეტიკის“ მეორე ნაწილს ეძებენ, სადაც ის კომედიაზე საუბრობს, მაგრამ ეს წიგნი აკრძალულია მამათა მონასტერში, ვინაიდან სიცილი არაქრისტიანულად ითვლება.

- ამხანაგი სტალინი!
- დედაშენი ვინაა?
- საბჭოთა სამშობლო!
- და ვინ უნდა გამოხვიდე?
- ობოლი!\*\* (ტელესინი 1986: 94).

იმ ფონზე, როდესაც ხუმრობებში მინიშნებაა იმაზე, რომ სტალინის გაჩენის გამო, პრაქტიკულად, არაპირდაპირ საყვედურობენ დედამისს, აშკარა ნინაალმდეგობაშია ფოლკლორულ ლექსებში გამოხატული პოზიცია: „იმ შენი მშობლის ჭირიმე,/ვინაც გიმღერა ნანაო,/ვინც თავის კალთით გაზარდა/ბელადი შენისთანაო“ („სიმღერა სტალინზე“).\*\*

არანაკლებ ირიბ ინფორმაციას გვანვდის თვით სტალინის ახალგაზრდობისდროინდელი ლექსები. მაგალითად, ლექსში „მთვარე“ მეტ-ნაკლებად შეფარულად უკვე ვლინდება მომავალი ბელადის ე.წ. ჰიპერტროფირებული „მე“: „ნაზად შესცინე ქვეყანას/შენ ფეხ-ქვეშ გადაჭიმულსა;/მყინვარს დამღერე ნანინა,/ზეციდან გადმოკიდულსა.“ ამაზე მიუთითებს, ერთი მხრივ, ლირიკული მე-ს, როგორც ზემოთ მდგომის პოზიცია მიწასთან მიმართებაში. ამავე დროს, მომავალში მნიშვნელობების შენაცვლების რესენტიმენტული მოტივი აღწევს სამომავლო დაპირების შემცველ სტრიქონებში („კარგად იცოდე, რომ ერთხელ/ძირს დაცემული, ჩაგრული/კვლავ აღემართვის მთას წმინდას,/იმედით აღტაცებული“). კიდევ უფრო მრავლისმთქმელია იესოსადმი მიძღვნილი ლექსი „შხამით აღსავსე ფიალა“, რომლის შესახებაც გიორგი გაჩეჩილაძე წერს: „1895 წელს, ქრისტეშობის დღეს, 25 დეკემბერს, ილია ჭავჭავაძე „ივერიაში“, პირველი გვერდის მარჯვენა მხარეს, აქვეყნებს 16 წლის სემინარიელი ჭაბუკის, სოსო ჯულაშვილის ქრისტეშობისადმი მიძღვნილ ლექსს: „ამ ქვეყნად იგი, ვით ლანდი,/ კარის-კარ დანრიალებდა;/ ხელთ ეპყრა მუხის ფანდური,/ ხმა ტკბილად აწკრიალებდა;/ მის საოცნებო ჰანგებში;/ ვითარცა სხივი მზიური, /ისმოდა თვითონ სიმართლე/ და სიყვარული ციური,/ ბევრს აუძგერა იმა ხმამ/ გული, ქვად გადაქცეული;/ ბევრს გაუნათლა გონება,/ ბნელ-უკუნეთად ქცეული./ მაგრამ, დიდების მაგიერ,/ სად ჩანგმა გაინკრიალა,/ განდევნილს ბრბომ იქ დაუდგა/ შხამით აღვსილი ფიალა.../ და უთხრეს: „შესვი, წყეულო,/ ეგ არის შენი ხვედრიო!/ შენი არ გვინდა სიმართლე,/ არც ეგ ციური ხმებიო!“ სტალინმა იცის გურამიშვილის სტრიქონები: „ვია, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!“ მაცხოვარს, რომელიც ფეხს ბანს საიდუმლო სერობის მონაწილე მონაფეებს, კურნავს კეთროვანებს, მკვდრეთით აღადგენს ლაზარეს და არის „სიკვდილითა სიკვდილისა დამორგუნველი“, სემინარიელმა

\* ცნობილია სტალინის დამოკიდებულება ბაჰევეების მიმართ, როდესაც მისი ბრძანებით 3 მილიონი ბავშვი დახოცეს (Orlov A. The secret history of Stalin's crimes. N.Y., 1953)

\*\* ამავე რიგში ერთიანდება ისეთი ოპოზიციური გამოვლინებები, რომლებიც სტალინის გამოსახულების შეურაცხყოფას ითვალისწინებს: „დიდებაშვილი ანტონ ილიას ძე, მათურელი დავით ფავლენის ძე, ორივე არის კოლმეურნე, მათ სტალინის სურათზე, რომელიც ეკიდა კედელზე, მიანერეს უცენზურო სიტყვები: დაგაჯ\*ი თავზე და ულვაშზე!/მოგიტყ\*ნ ცოლი და დიდება! სურათი წარწერით ინახება საქმეში, დევს კონვერტში.“ (ფონდი 6, საარქივო 43523, ტ. 3, ყუთი 109) (ამ მასალის მოწოდებისთვის ავტორი მადლობას უხდის ადა ნემსაძეს).

პოეტმა დიდების მაძიებელ ამპარტავნად აღიქვა. ეს ნიშნავს, რომ სემინარი-ელ სტალინს არ სჯერა, რომ „ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად და მსგავსად თვისა“. სემინარიელ სტალინს სჯერა, რომ ადამიანმა შექმნა ღმერთი ხატად და სახედ თვისა; რომ ყველა შეუიარაღებელი მოციქული დამარცხდა და ყველა შეიარაღებულმა მოციქულმა გაიმარჯვა. ამ სტრიქონების დაწერიდან 10 წლის შემდეგ, სტალინი ბოლშევიკების და სოცდევების, შეიარაღებული ტერორისტების რაზმის მეთაური“ (გაჩეჩილაძე 2015: 19-20).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოფიციალური ფოლკლორი, ოფიციალური მხატვრული ლიტერატურის მსგავსად, სტალინს მესიის ნიშნების მქონე ფიგურად მოიხსენიებს, ხოლო კონიუნქტურისგან თავისუფალ ხუმრობებსა და ანეგდოტებში, ოპოზიციური, არაკანონიკური ტექსტების მსგავსად, სტალინის სახე ნეგატიური ნიშნით გვევლინება, სადაც სიცილის ეფექტი, როგორც ფსიქიკის თავდაცვის მექანიზმი, კათარზისულ ფუნქციას ასრულებს.

#### დამონშებანი:

Borev, Yuri. *Kratkij Kurs Stalinizma*. Yuzhno-sibirskoe knizhnoe izdatel'stvo, 1991 (Борев, Юрий.

Краткий курс сталинизма. Южно-сибирское книжное издательство, 1991).

Freud, Sigmund. *Jokes and Their Relation to the Unconscious*. W. W. Norton & Company; The Standard edition, NY, 1990.

Gachechiladze, Giorgi. “P’olit’ik’is P’oet’ik’a (Ilia Chavchavadze, Ak’ak’i Ts’eret’eli, Vazha-Pshavela, Galak’t’ioni da St’alini)”. *IX Saertashoriso Simp’oziumi. Lit’erat’uratsodneobis Tanamedrove P’roblemebi. T’raditsia da Tanamedrove Mtse’rloba*. Nats’ili I. Tbilisi: Tsu Shota Rustavelis Kartuli Lit’erat’uris Inst’it’uti, 2005 (გაჩეჩილაძე, გიორგი. „პოლიტიკის პოეტიკა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი და სტალინი)“. *IX საერთაშორისო სიმპოზიუმი. ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა*. ნაწილი I, თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი: 2015).

Groys, Boris. *The Total Art of Stalinism: Avant-Garde, Aesthetic Dictatorship, and Beyond*. Verso, NY, 2011. “Khalkhuri Leksebi da Simgherebi St’alinze”. *Gaz. “K’omunist’I”*. Tbilisi: 1939 („ხალხური ლექსები და სიმღერები სტალინზე“. გაზ. „კომუნისტი“, თბილისი: 1939).

*Lenini da St’alini Kartul Folk’lorshi*. Tbilisi: Tbilisi: gamomtsemloba “sakhelgami”, 1937 (ლენინი და სტალინი ქართულ ფოლკლორში. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1937).

Propp, Vladimir. *Problemy Komizma i Smekha. Ritual’nij Smekh v Fol’klore*. Iabirint, 2006 (Пропп, Владимир. Проблемы комизма и смеха. Ритуальный смех в фольклоре. Лабиринт, М., 2006).

Rancour-Laferriere, Daniel. *The Mind of Stalin: A Psychoanalytic Study*. Ardis, NY, 1988.

*St’alini Kartul Khalkhur P’oeziashi*. Tbilisi: 1919 (სტალინი ქართულ ხალხურ პოეზიაში. თბილისი: 1949).

T’abidze, Galak’t’ion. *Tkhzulebani Tormet T’omad*. T’. VII, 1972 (ტაბიძე, გალაკტიონ. *თხზულებანი თორმეტ ტომად*. ტ. VII. თბილისი: 1972).

Telesin, Julius. *1001 izbrannyj sovetstskij politicheskij anekdot*. Tenafl, N.J. Ermitazh, 1986 (Телесин О. *1001 избранный советский политический анекдот*. Танефлав, Нью-Джерси, 1986).

**Gaga Lomidze**  
(Georgia)

## **Stalin: Earthly incarnation of Demiurge**

### **Summary**

**Key words:** social realism, joke, folklore, resentment.

Several tendencies are connected to Stalin's image in Georgian folklore. In folklore, as well as in fiction, the interests of the official government are expressed and an image of the leader is reflected according to the requirements of the prevailing culture. In folkpoems dedicated to Stalin we can outline three basic tendencies, in terms of content: social, mythological and resentment. All three layers are closely linked to each other.

In the poems of social content the role of Stalin is related to the implementation of ideological platform of the so-called «third group» (Georgian Social Democrats) in the lives of workers and peasants and taking into consideration their interests. A significant influence of propaganda is obvious here, as in the case of fiction literature. In folk poems Stalin is often mentioned by the following epithets: eagle, iron, steel. It is noteworthy that iron, steel, as the cheaper metals is the opposite of gold, and in this sense the shift of values is quite obvious here. The alchemical process is produced inversely and, meanings exchange positions in the process of desemiocratization, lead by this earthly incarnation of demiurge. In the folk poems dedicated to Stalin we can also find the following epithets: the sun, the sunny-faced, the father.

Social and mythic layers completely correspond to a third layer – resentment. The trace of colonial mentality can be felt in folk poems and it is expressed in the opposite notions of the border, own territory and the enemy, on the one hand and in the shift of meanings, when a weak becomes strong, on the other hand. The paradigm shift, where the values exchange places, is obviously associated with Stalin's figure. At the same time, it is the outcome of the work of the Defense Mechanism – the replacement of the principles developed by colonial mentality with the feeling of superiority connected to the Georgian origin of Stalin and perception of his image as the personification of Savior. Thus, Stalin is considered on the same level as Shota Rustaveli, one of the greatest figures in Georgian culture. In folk poems clearly phallic symbol – an iron/steel sword is often used as a symbol of revenge also associated with the colonial mentality.

Folklore, as well as fiction, expressed the official position and reflected an image of the Leader according to the interests of the official power. The only space that was free from censorship and orthodoxy, was jokes and anecdotes, for which their authors sometimes were imprisoned or put to death. A laughter has a cathartic function and acts as a kind of nervous regulator: accumulated negative mental and emotional energy that is retained or suppressed, is discharged, thanks to a joke, which results in cleansing/catharsis.